

დამტკიცებულია:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

სხდომის ოქმი № 4, 2018 წლის 17 თებერვლის

დადგენილება №14



სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება - 2022 წ.

1. უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მიზნები და ამოცანები

1.1. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო სივრცეში უმთავრესი საკითხია, ხოლო ხარისხის გაუმჯობესება, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის შენარჩუნებასა და მუდმივ განვითარებაზეა ორიენტირებული. ხარისხის უზრუნველყოფის ცნება ყველა დაგეგმილ და სისტემურ ქმედებას, მათ განხორციელებასა და მონიტორინგს მოიცავს: კვლევას, ანალიზს, განსაზღვრული ნორმის შეფასებას, მიგნებების გამოკვეთას, რეკომენდაციებს, დასკვნებს, მოთხოვნებს, ასევე, სხვადასხვა მექანიზმსა და სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფა მრავალეტაპიანია. ამ ეტაპებში შედის:

- დიზაინი;
- განვითარება;
- წარმოება;
- დანერგვა;
- მომსახურება;
- დოკუმენტაციის აღრიცხვა.

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხსა და მის უზრუნველყოფაზე უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის კულტურის განვითარებას;

1.2. ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს სტუდენტების, მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოების, ყველა სხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებებსა და მოლოდინებს, რადგან უმაღლესი განათლება სხვადასხვა მიზნის მიღწევას ემსახურება: სტუდენტების მომზადება აქტიური მოქალაქეობისა და მათი მომავალი კარიერისათვის; სტუდენტების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; ცოდნის ფართო, მოწინავე ბაზის შექმნა, კვლევისა და ინოვაციის ინტეგრირება. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულმა მხარეებმა შესაძლებელია განსხვავებულ მიზნებს მიანიჭონ პრიორიტეტი და უმაღლესი განათლების ხარისხი განსხვავებულად განიხილონ, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს.

1.3. ხარისხი ძირითადად სტუდენტს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და სასწავლო გარემოს შორის ინტერაქციის შედეგია. ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი სასწავლო გარემო, სადაც პროგრამის შინაარსი, სწავლის შესაძლებლობები და საშუალებები შესაბამისობაშია დასახულ მიზანთან, უნივერსიტეტის მისიასთან.

1.4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მთავარი მიზანი ანგარიშვალდებულება და განვითარებაზე ზრუნვაა, რაც ქმნის ნდობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მიმართ.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტურ განხორციელებას, გამჭვირვალობას, უწყვეტობას, აკადემიურ თავისუფლებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ანგარიშვალდებულებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია და აქვს საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა. ხარისხის განვითარების სისტემა ეფუძნება ხარისხის შიდა მექანიზმების თითოეული ფაქტორის განვითარების თავისებურებებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ძირითადი ვექტორია: ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისა და სამეცნიერო მუშაობის ისეთ განვითარებას, რომ უნივერსიტეტი საგანმანათლებლო სივრცეში იყოს სტუდენტების, პარტნიორების, საზოგადოების აღიარებისა და ნდობის მაგალითი.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანია:

1. სწავლების, სწავლის, კვლევის და მართვის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
2. სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, შესაძლებლობების რეალიზება;
3. სწავლების ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით, რომლებიც ქმნიან ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ, ციკლურ პროცესებს;

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დაგეგმე, განხორციელე, შეაფასე და განავითარე (PDCA) ციკლს, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

ა) დაგეგმე - Plan: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასებისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების პროცესების დაგეგმვას;

ბ) განხორციელე - Do: დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას; მიღებულ შედეგებზე რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას;

გ) შეაფასე - Check: განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, ცვლილებების შედეგად მიღებული რეზულტატის შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, ანუ, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება;

დ) განავითარე - Act: შეფასების შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელება, რაც გულისხმობს გამოყენებულ მექანიზმებთან, მიდგომებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში განახლებას პროცესის დახვეწისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

PDCA ციკლი გამოიყენება:

- როგორც უწყვეტი განვითარების მოდელი;
- როგორც ახალი პროექტის განვითარების შესაძლებლობა;
- როგორც პროცესის, პროდუქტის შექმნის ან ძველის გაუმჯობესების შესაძლებლობა;
- მონაცემთა შეგროვების და ანალიზის დაგეგმვის პროცესში პრობლემების ან გამომწვევი მიზეზების დახარისხების და პრიორიტეტიზაციის მიზნით;
- ნებისმიერი ცვლილების დანერგვისას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტები:

ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფა (რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას).

ხარისხის გარე შეფასება მოიცავს:

- ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა;
- არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ახალი (ბაზრის კვლევაზე დაფუძნებული) პროგრამების შემუშავება, მათ შორის ერთობლივი პროგრამები;
- პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციების ჩართვა გარე შეფასების პროცესში;
- კოლეგების შეფასების (per-review) კულტურის დანერგვა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში.

თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო უსდ-ებთან

- პარტნიორ ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ერთობლივი პროგრამების, უცხოენოვანი პროგრამების ერთობლივი და ორმაგი ხარისხით შემუშავების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების შესაბამის სტრუქტურებთან, უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით;
- საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა კოლეგიალური შეფასების, სემინარების, ტრენინგების, კონსულტაციების კუთხით;
- განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება უნივერსიტეტის სტუდენტების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ჩართულობის მიზნით;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობა პროგრამების პოპულარიზაციის, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებებში გაწევრიანების გზით.

მართვის ეფექტიანობის შეფასება და განვითარება

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც შიდა, ასევე გარე, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას;
- უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინიზებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ანგარიშების მეშვეობით.
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რელევანტური ინფორმაციის შეგროვებას, გაანალიზებას, რასაც იყენებს პროგრამების და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისათვის, ანუ ახდენს პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებაზე. შეფასება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას. აღნიშნული პროცედურები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესში.
- უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება ორი ძირითადი წყაროდან - მონიტორინგიდან და შეფასებიდან.

მონიტორინგი - როგორც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმების განგრძობადი პროცესი.

შეფასება - სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის პროცესისა და გავლენის მაქსიმალურად სისტემური და ობიექტური შეფასება.

შეფასების სისტემისა და მონიტორინგის შედეგების რეაგირების მექანიზმის გააქტიურება.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია სამ ძირითად მიმართულებაზე (ხარისხის შიდა შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მექანიზმების მეშვეობით:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;

2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება;

3. მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი მაღალი აკადემიური სტანდარტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას, რომელთა მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ, გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. სწავლება/სწავლის და შეფასების პროცესები არის სტუდენტზე ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ისეთი სწავლების მეთოდების მიწოდებას, რაც წახალისებს სტუდენტებს და აუმაღლებს მოტივაციას სასწავლო და სხვა აქტივობების პროცესში.

➤ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურადაა ჩართული ყველა რგოლი;

➤ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების არსებობას;

➤ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას;

➤ შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;

➤ შემუშავებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;

➤ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად ჩართულები არიან, როგორც აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები, ასევე, გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ);

➤ პერიოდულად ახდენს მის მიერ მოწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

სწავლა/სწავლება

➤ პროცესების ხარისხის;

➤ პროგრამების ხარისხი;

➤ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა;

➤ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ჩარჩოს ფორმირება (პროცესები, პროცედურები, ნორმატიული აქტები);

➤ გაზომვად ინდიკატორებზე დაფუძნებული კომპლექსური ანგარიშგება-შეფასების სისტემის შექმნა;

➤ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მაღალი ჩართულობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში;

➤ სისტემური კვლევებისა და ანალიზების ჩატარება (SWOT ანალიზი);

➤ ანალიზის შედეგებისა და შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველყოფა;

➤

კვლევა

- შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისათვის გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა;
- შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციისა და პროდუქტიულობის, უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შეფასება;
- სადოქტორო სწავლების გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია.

ზემოაღნიშნული მიმართულებების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედ შემდეგ სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით:

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო/თვითშეფასების ჯგუფის შექმნის მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება;
- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება;
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;
- პროგრამის შეფასება ხელმძღვანელის მიერ;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულება;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;

▪ უნივერსიტეტის სტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები:

- სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ პროგრამების შეფასების პროცედურების ინდიკატორების გააქტიურება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე პროგრამების ხელმძღვანელების, კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის) დასწრების საშუალებით;
- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების გამოკითხვა ყოველსემსტრულად;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პროგრამის გფანმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვ.) შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში;
- პერიოდულად პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან;
- სასწავლო პროცესში სწავლების ელექტრონული მეთოდის გამოყენების წილის გაზრდა;
- დისტანციური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა;
- სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა და შესაბამისი მდგომარეობის გამოყენება სწავლებისას;
- ლაბორატორიების შექმნა/აღჭურვა ეტაპობრივად;
- ინტერნეტმომსახურებისა და ელექტრონული სასწავლო რესურსების გაუმჯობესება;
- უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგ-კურსების, პროგრამების და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმების განახლება/ამოქმედება;
- კარიერული განვითარების წახალისება, პერსონალის დაფასება, აღიარება და დაჯილდოების მექანიზმების ამოქმედება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული უნივერსიტეტისა და ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების სწორად დაგეგმილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად შესრულებაზე.

უნივერსიტეტში მოქმედმა ძირითადმა საგანმანათლებლო სტრუქტურულმა ერთეულებმა შეადგინეს შესაბამისი ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაზე პასუხისმგებელმა და მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეტაპობრივად წარმოუდგინეს ანგარიშები, რომლის საფუძველზე განისაზღვრა რეკომენდაციების შესრულების ფაქტობრივი მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იყო:

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენციის (შიდა ნომერი 1385736, 01.11.2022 წ.) საფუძველზე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარადგინა "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში (22 გვერდი) თანდართული დოკუმენტებით (MES 2 22 0001518936, 29/11/2022 წ.).

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 29-ე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, გაცნობის მიზნით გიზიარებთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნას - „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე (MES 6 22 000148818,7 22/11/2022 წ.) საფუძველზე მოხდა ეკონომიკის სადოქტორო [როგრამის განვითარება.
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგინა: "ასტრონომიის" ერთობლივ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (MES 1 22 0000559760 30/05/2022 წ.);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგინა: ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას (MES 4 22 0000375587 11/04/2022 წ.).
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარდგენილი იქნა უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ "აგროტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთწლიანი ანგარიშ (12 გვერდი) თანდართული დოკუმენტაციით (MES 0 22 0000092541 31/01/2022 წ.);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარდგენილი იქნა უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ "აგრონომიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთწლიან ანგარიშს (12 გვერდი) თანდართული დოკუმენტაციით (MES 9 22 0000092540 31/01/2022 წ.).

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი მაღალი აკადემიური სტანდარტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას, რომელთა მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ, გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. სწავლება/სწავლის და შეფასების პროცესები არის სტუდენტზე ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ისეთი სწავლების მეთოდების მიწოდებას, რაც წახალისებს სტუდენტებს და აუმაღლებს მოტივაციას სასწავლო და სხვა აქტივობების პროცესში.

წინამდებარე ანგარიში, რომელიც მოიცავს პერიოდს 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით, წარმოდგენილია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განვითარების, სწავლება/სწავლისა და კვლევის, საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხის განვითარების არსებული მდგომარეობა საანგარიშო პერიოდისთვის.

საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციისთვის მომზადდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული ოთხი პროგრამა:

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ისტორიის კლასტერში დაჯგუფებული სამი პროგრამა:

- ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;

იურიდიული ფაკულტეტიდან აკრედიტაციაზე წარსადგენად მომზადდა საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან აკრედიტაციაზე წარსადგენად მომზადდა:

- ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი).

01.11.2022 წ. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილია ინფორმაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ“. აქტიურად მოხდა სასწავლო რესურსის, განსაკუთრებით სავალდებულო ლიტერატურის განახლება თანამედროვე ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურით.

ამავე პერიოდში როგორც კლასტერში დაჯგუფებული, ასევე ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების პროცესში განხორციელდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა, გაზიარებული, გათვალისწინებული და თითოეულ პროგრამაში ასახულია თითოეული სწავლის სფეროსთვის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები, პროგრამის შემუშავებისას ჩატარდა პირველკურსელების, ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, კურსდამთავრებულების როგორც ინსტიტუციური და გარემოთი კმაყოფილების, ასევე პროგრამითა და სასწავლო კურსებით კმაყოფილებისა და სასწავლო კურსების შეფასების კვლევა.

თითოეული სასწავლო კურსის შესახებ სტუდენტების გამოკითხვების მიხედვით (აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირის ფორმა); სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების მიერ ჩატარდა პირველკურსელთა კვლევა ინსტიტუციური, რესურსებით, სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმებისა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების შესახებ, პირველი შთაბეჭდილება და მოლოდინები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ემზადება პირველკურსელებთან შესახვედრად. კერძოდ, ხდება პირველი სასწავლო კვირისთვის დღის წესრიგის შემუშავება, რომელშიც პირველი ხუთი დღის განმავლობაში გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობა: საინფორმაციო, შემეცნებითი, საკონსულტაციო (მხარდამჭერი ღონისძიებების), გასართობი და სხვ. უნივერსიტეტის თითოეული რგოლის ფუნქცია-მოვალეობის გაცნობა სტუდენტებისათვის, რათა სტუდენტი სწრაფად ადაპტირდეს ახალ გარემოში და სწავლაგანათლებაზე იყოს ორიენტირებული.

კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ კითხვარი, რომელიც შედგებოდა ქვემოთ მოცემული კითხვებისგან, მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ინფორმაციას. გამოკითხვა ატარებდა ანონიმურ ხასიათს და იყო ნებაყოფლობითი. პირველკურსელების კმაყოფილების კვლევა

უნივერსიტეტში მოქმედებს ოთხი ფაკულტეტი, რომელთა საბაკალავრო პროგრამებზე პირველ კურსზე ჩაირიცხა 370-მდე სტუდენტი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, სულ 106 სტუდენტმა. მონაწილეთა საერთო რაოდენობა ფაკულტეტების შესაბამისად პროცენტულად ასე გადანაწილდა:

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 44,3%; ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 32,1%; ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი 12,3%; იურიდიული ფაკულტეტი - 10,4%.

დასკვნები

1. მიმდინარე, 2022-2023 სასწავლო წლის პირველკურსელთა წინამდებარე ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევაში გასულ წლებთან შედარებით ნაკლებმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა (2021-2022 სასწავლო წლის კვლევებში მონაწილეობდა 202 სტუდენტი, აღნიშნულ კვებებში კი მხოლოდ 106 სტუდენტი მონაწილეობა); კვლევაში ჩართული სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებლები პროცენტულად საკმაოდ გაზრდილია, თუმცა რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას.

კერძოდ,

- მუსიკალური სტუდია, იმედი მაქვს მალე იქნება ფუნქციური.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის აქტიურად ფუნქციონირებს კულტ-მასობრივი სექტორი. ნებისმიერ სტუდენტს აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს როგორც ქორეოგრაფიულ, ისე ფოლკლორულ ღონისძიებებში.

- მეორე კორპუსში სასურველი იქნებოდა სტუდენტებისთვის სპორტული დარბაზის შექმნა. სპორტული დარბაზის შექმნასთან დაკავშირებითაც იგივე შეიძლება ითქვას. უნივერსიტეტის პირველ კორპუსში არის კეთილმოწყობილი სპორტული დაერბაზი, სადაც მუშაობს რამდენიმე სპორტული სექცია. სტუდენტებს თავიანთი სურვილის და დროის შესაბამისად შეუძლიათ ჩაერთონ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში, თუ სექციების მუშაობაში.

- როგორც აღვნიშნე დავამატებდი მეტ სივრცეს სტუდენტთათვის.

სტუდენტის სურვილი უნივერსიტეტს ჰქონდეს მეტი სივრცე სტუდენტებისთვის, ძალიან საინტერესო სურვილია. ვფიქრობთ, სტუდენტს არ ჰქონდა ჯერ ათვისებული საუნივერსიტეტო სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა, შეუძლიათ სამეცნიერო ბიბლიოთეკის სივრცეების გამოყენება, ზაფხულის ბაღში დასვენება, რომელიც აკრედიტაციის უცხოელი ექსპერტებისთვის ძალიან საინტერესო გარემო აღმოჩნდა.

- უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო მეტი საგანმანათლებლო პროგრამები.

უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო მეტი საგანმანათლებლო პროგრამები, ეს კომენტარიც საინტერესოა. უნივერსიტეტში დღეისათვის ფუნქციონირებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის 29 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, სწორედ იმ მიმართულებებით, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით, რეგიონის საჭიროებებით.

- კარგი იქნება უნივერსიტეტში იყოს ბუფეტი.

უნივერსიტეტში იყოს ბუფეტი, ეს მეტად ყურადსაღები კომენტარია. აღნიშნულ და წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით, რეაგირებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციას მიაწვდის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ტრადიციულად, გარკვეულ საკითხებზე ჩაღრმავებული ინტერვიუები სტუდენტებთან შედგება რექტორის საათზე.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები უკუკავშირს თავიანთ მოსაზრებებზე მიიღებენ უნივერსიტეტის პირველი პირისგან, რაც სტუდენტებში ყოველთვის დიდ კმაყოფილებას და ნდობას იწვევს როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, ასევე პერსონალის მიმართ.

2. კვლევაში მონაწილე სტუდენტთა კონტინგენტის უმრავლესობა საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
3. სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულებიდან ამომწურავი ინფორმაციის მიღებით;
4. სტუდენტები კმაყოფილები არიან აკადემიურ/მოწვეული პერსონალის მიერ შექმნილი აკადემიური გარემოთი;
5. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სტუდენტები იცნობენ უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და უნივერსიტეტის შინაგანწესსა და ეთიკის ნორმებს.
6. სტუდენტები იცნობენ უნივერსიტეტში არსებულ იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობას.
7. კვლევის შედეგების რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა კვლევაში მონაწილეობა არ მიიღო ან/და თავი შეიკავა.
8. გამოკითხვაში მონაწილეების მცირე რაოდენობისგან გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ საკითხზე ნაკლებად ან/და არ არიან ინფორმირებული. გასატარებელი ღონისძიება:
 1. პირველკურსელთა ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევის შედეგები ეცნობოს თითოეული სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;
 2. სტუდენტებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ინსტიტუციის გაძლიერებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, მათი კმაყოფილება და კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა.
 3. წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით, რეაგირებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციას მიაწვდის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
 4. ტრადიციულად, გარკვეულ საკითხებზე ჩაღრმავებული ინტერვიუები სტუდენტებთან შედგება რექტორის საათზე.
 5. თითოეულ საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს გააცნონ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და შესაბამისად, უკუკავშირისთვის გატარებული ღონისძიებების შედეგები.

ბაკალავრების კმაყოფილების კვლევა

1. კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია კვლევაში გამოყენებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა, რომელსაც დაემატა კითხვები დამატებითი პროგრამების შესახებ, კითხვების ნაწილი მოდულების სახით იქნა წარმოდგენილი. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი (მათ შორის, ბაკალავრების კვლევა პროგრამული და საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილებასთან დაკავშირებით). კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ბაკალავრების მონაწილეობით Google-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

გამოკითხვა ჩატარდა 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს. კვლევა ითვალისწინებდა:

ა) კვლევის შედეგების იდენტიფიცირება და მიგნებების გამოკვეთა.

ბ) ინსტიტუციური ხასიათის მიგნებების დადარება გასული წლის კვლევებთან.

გ) ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა.

დ) ძლიერი მხარეების შენარჩუნება და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავება.

ე) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად. ვ) სტუდენტებისთვის შედეგების გაცნობა.

ზ) კვლევის შედეგების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში.

გამოკითხვა ჩატარდა 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს. ინსტიტუციური ხასიათის ზოგადი მიგნებები დადარდებოდა გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებს (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე). გამოიკვეთებოდა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და ეცნობებოდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.

უნივერსიტეტის მასშტაბით ბაკალავრების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა უნივერსიტეტში მოქმედი ოთხივე ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის საბაკალავრო საფეხურის 137 სტუდენტი. მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად შემდეგ სურათს გვამღევს:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 22,6%
- იურიდიული ფაკულტეტი - 12,5%;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 32,1%;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 32,8%.

მიგნებები:

სტუდენტების პასიურობა

ა) კითხვარების შევსებაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წელსაც გარკვეული პასიურობა დაფიქსირდა. ეს გასაგები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა მოსაზრებები და სურვილები დარჩებოდა მხოლოდ კითხვარში კომენტარების სახით. მაგრამ, უნივერსიტეტში ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკა - რექტორის საათი, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასთან ერთად ადასტურებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მუშაობის გამჭვირვალობას, რისი ნათელი დადასტურებაცაა კვლევების შედეგად გამოკვეთილი მიგნებების: სტუდენტების მოსაზრებებისა და საჭიროებების მიწოდება რექტორატისათვის და ხელმძღვანელობის მხრიდან აღნიშნულ საკითხებზე მყისიერი.

ბ) რადგან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასახელებული სტუდენტთა ჩართულობის ძირითადი ინსტრუმენტებისა და სტუდენტებისგან ინფორმაციის მიღების საშუალებებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება ნაკლებად აქტიური ხასიათისაა, შესაბამისად, კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის ორ მნიშვნელოვან რგოლს შორის კომუნიკაცია კიდევ უფრო დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს.

გ) აგრეთვე, კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა ჩართულობა განაპირობებს სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტით კმაყოფილების დონეს, შესაბამისად, რაც უფრო მაღალია სტუდენტთა ჩართულობა, მით უფრო მაღალია მათი უნივერსიტეტით კმაყოფილება. დასკვნა:

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ სტუდენტურ თვითმმართველობასა და სტუდენტებთანაც ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები:

- 1) უნივერსიტეტის განვითარებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლისა და ფუნქციების შესახებ;
- 2) უნივერსიტეტში სწავლება/სწავლის/შეფასების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის სტუდენტების კვლევებში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში.
2. საინფორმაციო შეხვედრების დასრულების შემდეგ შემუშავდეს კითხვარები, რომლის საშუალებითაც სტუდენტების მოტივაციის განსაზღვრა იქნება შესაძლებელი: სურთ თუ არა მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის განვითარებაში; ხედავენ თუ არა საკუთარ როლს განვითარების პროცესში. იღებენ თუ არა უკუკავშირის საკუთარ მოსაზრებებზე.
3. სტუდენტებთან განახლდეს საკონსულტაციო შეხვედრები მათთვის საინტერესო საკითხებზე. გასატარებელი ღონისძიება:
 1. ბაკალავრების საგანმანათლებლო პროგრამებით და ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევის სანდოობისა და რელევანტური შედეგების მისაღებად, თითოეული სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლებმა ჩაატონ საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან.
 2. სტუდენტებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ინსტიტუციის გაძლიერებისთვის, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისთვის სტუდენტების კმაყოფილება და მათი კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა.
 3. წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით, რეაგირებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციას მიაწვდის უნივერსიტეტის რექტორს.
 4. ტრადიციულად, გარკვეულ საკითხებზე ჩაღრმავებული ინტერვიუები სტუდენტებთან შედგება რექტორის საათის ფარგლებში.
 5. თითოეული საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს გააცნონ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და შესაბამისად, უკუკავშირისთვის გატარებული ღონისძიებების შედეგები.

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ჩატარდა მაგისტრანტების მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ჩატარდა მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა 27 მაგისტრანტი. მათ შორის:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 5%;

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე

სტუდენტთა საერთო რაოდენობის 54,3%;

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე

სტუდენტთა საერთო რაოდენობის 40,7%.

კვლევაში მონაწილეობდნენ საქართველოს ისტორიის, ქართველური ენათმეცნიერების, ქართული

ლიტერატურის ისტორიის, ბიზნესის ადმინისტრირების, აგროტექნოლოგიის, ბიზნესინფორმატიკის,

ასტრონომიის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების

სტუდენტები. კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის მიზანი და ამოცანები:

კითხვარების დამუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მაგისტრანტებისთვის წინასწარ შედგენილ

რეაგირებას. PDCA ციკლის უწყვეტობისთვის კვლავ ხდება სარეკომენდაციოდ გაცემული საკითხების შესრულებაზე მონიტორინგი, პრობლემის ან საკითხის საბოლოოდ გადაჭრამდე.

კვლევის მიზანია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტების და დაწესებულების დამოკიდებულების, აგრეთვე სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. კვლევა ტარდება Google Drive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას. კვლევა ითვალისწინებს: o კვლევის მიზნის, ამოცანის იდენტიფიცირებას. მიგნებების გამოკვეთას, დასკვნების გამოტანასა და რეკომენდაციების შემუშავებას.

- o ინსტიტუციური ხასიათის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევის შედეგებთან და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე).

- o ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას; o ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;


- o შესაბამისი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულებისთვის კვლევის შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.

- o კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში. საყურადღებო საკითხები: კითხვაზე: თქვენი აზრით, შეფასება ობიექტური და სამართლიანია?


- o გამოკითხულთა 7,4%-მა უპასუხა, შეფასება მეტწილად ობიექტური და სამართლიანია; კითხვაზე: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ სამუშაო გეგმის შედგენაში? o გამოკითხულთა 3,7%-მა უპასუხა, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი ნაწილობრივ ეხმარება სამუშაო გეგმის შედგენაში; კითხვაზე: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში?

- o გამოკითხულთა 7,4%-მა უპასუხა, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი ნაწილობრივ ეხმარება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში; კითხვაზე: მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდით კურუკულუმის გარე აქტივობებში (კონფერენციები, გასართობი და სპორტული ღონისძიებები?) o გამოკითხულთა 18,5%-მა უპასუხა, რომ მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში ნაწილობრივ მონაწილეობდნენ კურუკულუმის გარე აქტივობებში (კონფერენციები, გასართობი და სპორტული ღონისძიებები?) აკადემიური პერსონალის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიშების შედეგები

2022 წლიდან განმავლობაში უნივერსიტეტში ხორციელდებოდა 28 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ჩართული იყო 77 აკადემიური პერსონალი (უნივერსიტეტის ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან). აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის მასშტაბით წარმოდგენილი იყო: 25 - პროფესორი, 49 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი; ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური პერსონალი ნაწილდება შემდეგნაირად:



ფაკულტეტებიდან წარმოდგენილმა თითოეული აკადემიური პერსონალის 2022 წლის სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის ანგარიშებმა თავი მოიყარა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომლის საფუძველზე, მონაცემთა შესახებ მომზადდა ჯერ რაოდენობრივი მასალის სტატისტიკური მონაცემები, ხოლო შემდეგ ანალიზი ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად, რომელიც ასეთ სურათს გვამღებს:




მიღებული შედეგების ანალიზი და მიგნებები:

1. აკადემიური პერსონალის 2022 წლის სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის ანგარიშების შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული სამეცნიერო და პედაგოგიური აქტივობების მაჩვენებლების კლება გასულ წელთან შედარებით. კოვიდ-19 პანდემიის განმავლობაში დისტანციურად მუშაობის პერიოდში შეიქმნა ან/და განახლდა და გაციფრულებული იქნა სასწავლო რესურსი, ლექციების, რიდერების, პრეზენტაციების, ვიდეო ლექციების სახით და თითქმის მთლიანად იქნა ათვისებული ელექტრონული პლატფორმა MOODLE-ის სივრცე. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მაჩვენებლები ანგარიშის ქვეპუნქტში „პედაგოგიური საქმიანობა, რომელსაც პერსონალი ირჩევს“ შედარებით შემცირებულია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, რაოდენობრივი მასალის გაზრდა უკავშირდებოდა ელექტრონული რესურსის შექმნას სტუდენტებისთვის.
2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გარკვეული უმრავლესობა სისტემატურად აქტიურად ასრულებს აკადემიური თანამდებობის შესაბამისად განსაზღვრულ სამეცნიერო აქტივობებს, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობით მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, მათი მონაწილეობით საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სტუდენტების საკვალიფიკაციო სამეცნიერო ნაშრომების და კონფერენციების ხელმძღვანელობით. აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს უდასტურდება საზოგადოებრივი ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული აქტიურობები: სემინარები, ტრენინგები, ვორკშოპები, ზაფხულის, ზამთრის სკოლებში მონაწილეობის, აგრეთვე, უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარებულ კვლევებში როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.
3. უნივერსიტეტის ხელშეწყობით, გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას, ყველა ფაკულტეტმა დააორგანიზა და წარმატებით ჩაატარა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. უნივერსიტეტის ინიცირებით გაიმართა რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციები.
4. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ამჟერადაც აკადემიური პერსონალის გარკვეულ რაოდენობას არჩევითი პედაგოგიური საქმიანობის წილი სამეცნიერო საქმიანობაში აქვს შესრულებული.
5. აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი ახორციელებს სამეცნიერო ხასიათის საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი ჩართული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი საბჭოების მუშაობაში; ნაწილი კი უმაღლესი განათლების აკრედიტაციის ექსპერტები არიან.
6. მონაწილეობენ ან ორგანიზებას უწევენ საზოგადოებრივი ხასიათის სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს (საჯარო ლექცია, ექსკურსია, ტრენინგი, სემინარი და ა.შ.); აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი ახორციელებს მთარგმნელობით საქმიანობას. ამ შემთხვევაშიც თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესაბამისი საათობრივი ფორმულირება.
7. აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი აქტიურად ჩართულია საერთაშორისო კვლევით პროექტებში/გრანტებში, პროექტის ხელმძღვანელის ან/და მონაწილის სტატუსით. აგრეთვე უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად საერთაშორისო სასწავლო გრანტებში ჩართულია საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილი - ადმინისტრაციული პერსონალი, დოქტორანტები.
8. აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის აქტივობის მაღალი მაჩვენებელი სხვადასხვა მაღალრეიტინგული სამეცნიერო ნაშრომების, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გამოცემების რედაქტორობის, რედაქციის წევრობის, ოპონენტობის კუთხითაც. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტზე ხორციელდება 7 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, აკადემიური პერსონალი ჩართულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოების მუშაობაში, რაც ასევე საათობრივი მაჩვენებლებითაა გაანგარიშებული.

9. აკადემიური პერსონალის ერთწლიანი ანგარიშების შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული გარემოები: ზოგიერთი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა შედარებით დაბალი მაჩვენებლებით იყო წარმოდგენილი ბოლო ორი მანძილის მანძილზე, შევსებული ანგარიშების გარკვეულ ნაწილში ასახული აქტივობები, ისევე როგორც გასულ წელს საქიროებდა დაზუსტებას, კორექტირებას.

2022 წ.



ფილოლოგია	7	12	17	8		23	11	20		48	1	6	23	42	30	11
ისტორია	4	13	4	2	1	14	1	5	1	70			9	4	3	112
განათლება	1	3	1	1		3	1	2	5		4	2	9	4	3	11
ბიზნესი და ეკონომიკა	5	10	8	1		6	1	13	5	24		3	58	67	38	18
სამართალი	1	2	10	1		4	1	2	1	3				3	3	1
ფიზიკა/მათემატიკა/ინფორმატიკა	8	19		2	2	6		4	3	8	2		17	36	21	
აგრარული		1	4		2			1	6	1	1		10	7	8	1
ვეტერინარია	2	8	6	3	6	33		4	2	13	7	1	10	22	27	5

- ფილოლოგია
- ისტორია
- განათლება
- ბიზნესი და ეკონომიკა
- სამართალი
- ფიზიკა/მათემატიკა/ინფორმატიკა
- აგრარული
- ვეტერინარია

დასკვნები:

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი აქტიურად ასრულებს აკადემიური თანამდებობის შესაბამისად განსაზღვრული სამეცნიერო და პედაგოგიურ აქტივობებს თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული საათების შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში კი გაცილებით მეტ აქტივობას ასრულებენ, რაც დადარებულია ბოლო სამი წლის მონაცემების მიხედვით.
2. აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს სამეცნიერო ნაშრომები შეტანილი აქვთ შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში (განსაკუთრებით, სადოქტორო საფეხურზე).
3. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ აკადემიური პერსონალის გარკვეულ რაოდენობას არჩევითი პედაგოგიური საქმიანობის წილი სამეცნიერო საქმიანობაში აქვს შესრულებული და მათი სამეცნიერო დატვირთვა მნიშვნელოვნად აღემატება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ სამეცნიერო დატვირთვას.
4. აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი ახორციელებს სამეცნიერო ხასიათის საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო მასშტაბებით.
5. აკადემიური პერსონალი მონაწილეობს ან ორგანიზებას უწევს საზოგადოებრივი ხასიათის სამეცნიერო/სასწავლო-პოპულარულ აქტივობებს. ხშირად ასეთი აქტივობები გაზიარებულია საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვისაც.
6. აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი აქტიურად ჩართული საერთაშორისო კვლევით პროექტებში/გრანტებში, პროექტის ხელმძღვანელის, მკვლევარის ან/და მონაწილის სტატუსით.
7. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად საერთაშორისო სასწავლო გრანტებში ჩართულია საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილი - ადმინისტრაციული პერსონალი, დოქტორანტები.
8. აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის აქტივობის მაღალი მაჩვენებელი სხვადასხვა მაღალრეიტინგული სამეცნიერო ნაშრომების, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გამოცემების რედაქტორობის, რედაქციის წევრობის, ოპონენტობის კუთხით.
9. აკადემიური პერსონალის ერთწლიანი ანგარიშების შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული გარემოები: ზოგიერთი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა შედარებით დაბალი მაჩვენებლებით იყო წარმოდგენილი, შევსებული ანგარიშების გარკვეულ ნაწილში ასახული აქტივობები საჭიროებდა დაზუსტებას, კორექტირებას.

რეკომენდაციები:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ანალიზი განხილული იქნეს თითოეულ ფაკულტეტზე.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი თითოეული აკადემიური პერსონალის 2019-2020, 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლების დადარებული ანგარიშები მეტი სიცხადისთვის გააცნონ აკადემიურ პერსონალს.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მოხდეს მიზეზების იდენტიფიცირება იმ აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში, რომელ აკადემიურ პერსონალსაც ბოლო 2-3 წლის მანძილზე „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესთან“ შედარებით სამეცნიერო პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებლები აქვთ.
4. აღნიშნული რეკომენდაცია ისევ რელევანტურია ზოგიერთი აკადემიური პერსონალის მიმართ, ამიტომ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა მონიტორინგი გაუწიონ აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი „აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის ანგარიშში“ ასახული მონაცემების შესაბამისობას (მათ შორის: დაანგარიშებული აქტივობების საათების რაოდენობა, განხორციელებული აქტივობების წლები, აქტივობის სრული დასახელება, შესაბამისი გრაფა და სხვ.).

5. აღნიშნული მასალა ინფორმაციის სახით გადაეცეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში.

საზღვარგარეთთან ურთიერთობის სპეციალისტის მიერ პერსონალის მობილობის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება მიმდინარეობდა მთელი საანგარიშო პერიოდის მანძილზე, რადგან აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია და მუდმივად ცდილობს სტუდენტებისა, თუ აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო სასწავლო პროექტებში/გრანტებში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართვას.

რეკომენდაციების ფარგლებში მოდიფიცირებული, თუ ახალი დოკუმენტების განხილვა და დამტკიცება ხდებოდა „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე.

2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხ ძირითად საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულზე ხორციელდება 28 აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

1. ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. მასწავლებლის მომზადების დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა;
6. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა;
7. დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავროსამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
8. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
9. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
10. საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
11. ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
12. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
13. ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
14. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
15. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
16. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
17. ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
18. ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი);
19. აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
20. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

21. ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ეკოლოგიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა;
22. აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; აგრონომიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა
23. ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
24. აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
25. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
26. ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
27. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი);
28. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი).

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი მაღალი აკადემიური სტანდარტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას, რომელთა მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ, გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. სწავლება/სწავლის და შეფასების პროცესები არის სტუდენტზე ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ისეთი სწავლების მეთოდების მიწოდებას, რაც წახალისებს სტუდენტებს და აუმაღლებს

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურადაა ჩართული ყველა რგოლი;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების არსებობას;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას;
- შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის; ➤ შემუშავებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად ჩართულები არიან, როგორც აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები, ასევე, გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ);
- პერიოდულად ახდენს მის მიერ მოწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

აკადემიური მოსწრების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად ახორციელებს გამოკითხვებისა და ანალიზის საფუძველზე კვლევებს, შესაბამისად, მონაცემთა ანალიზს, რისთვისაც მიმართავს გამოკითხვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს სწავლისა და სწავლების არსებითი ასპექტები, განისაზღვროს სწავლის შედეგების ზღვრული ნიშნული, მოხდეს ცალკეული დეტალების კორექცია და ახალი ნიშნულების განსაზღვრა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლის დაკვირვება შესაძლებელია პროგრამულად. სწავლის შედეგების ყოველსემესტრულ ანალიზი რეგულარულად მზადდება და მუშავდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რასაც პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო დიდი ყურადღება დაეთმო.

მონაცემთა პირველად ანალიზს იძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელია გაანალიზდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით.


2022 წელს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი მომზადდა ოთხივე ფაკულტეტზე: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, იურიდიული, ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. ფაკულტეტები ანალიზის პროცესში მიმართავენ განსხვავებულ მეთოდოლოგიას და მექანიზმებს, მათ შორის უნდა დასახელდეს: გაუსის ტიპის განაწილება, დაკვირვება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებზე, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებზე, საკვალიფიკაციო ნაშრომზე და სხვ. რა დროსაც მხედველობაში იქნება მიღებული შესაბამისი სტატისტიკური მეთოდები და ჯგუფში შესაფასებელ სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობა. პროგრამულად მომზადებული კვლევები იმდენად გახდა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მათ საფუძველზე მიზნობრივად იგეგმება პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვება, გასაუმჯობესებელი მხარეებს განესაზღვრა და ქმედითი ღონისძიებების დაგეგმა კონკრეტული რეკომენდაციების საფუძველზე. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისას გამოიყენებულია: კრებვითი გამოცდა, არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.


პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი შექმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულების შედარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური მოსწრების შეწდეგების შემოწმება სასწავლო კურსების მიხედვით. მათ შორის:


ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგი (შემოდგომის სემესტრი)




II კურსი , ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი



III კურსი ბიზნესის ადმინისტრირება




IV კურსი ბიზნესის ადმინისტრირება




ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგი

(გაზაფხულის სემესტრი)


I კურსი, ბიზნესის ადმინისტრირება
აკადემიური მოსწრება 2022 -23 გაზაფხ. სემესტრი




II კურსი, ბიზნესის ადმინისტრირება



III კურსი ბიზნესის დმინისტრირება




IV კურსი ბიზნესის დმინისტრირება




მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს საშემოდგომო სემესტრში მიეთითა გადაეხედა შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმებისათვის, პირველ, მეორე და მესამე კურსზე ისევ მაღალი წილით არის წარმოდგენილი A შეფასებები. თუმცა მეოთხე კურსზე აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია და გაუსის განაწილების შესაბამის მაჩვენებელს, ასევე მესამე კურსის ფინანსების მოდულშიც (სადაც ძალიან მაღალი წილი იყო A შეფასების) გარკვეულწილად შემცირებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პერსონალმა ყოველსემესტრულად უნდა განაახლოს და შესაბამისობაში მოიყვანოს შეფასების სიტემით განსაზღვრული კრიტერიუმები.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგი (შემოდგომის სემესტრი)

ბიზნესის ადმინისტრირება მაგისტრატურა - I კურსი
აკადემიური მოსწრება 2022 -23 შემოდგ. სემესტრი





II კურსი, ბიზნესის ადმინისტრირება მაგისტრატურა



აკადემიური მოსწრების ანალიზიდან გამომდინარე 2022-23 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ორივე კურსზე მიღებული აკადემიური მოსწრება უმეტესად შეესაბამება გაუსის განაწილებას. ნაკლები შესაბამისობაა A შეფასებებში, სადაც წილი მაღალია გაუსის განაწილებასთან შედარებით და ეს ეხება E შეფასებას, რომელიც ძალიან დაბალი წილითაა წარმოდგენილი მეორე კურსზე. ვფიქრობთ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის მისაღებია.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგი (გაზაფხულის სემესტრი)



აკადემიური მოსწრების ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ორივე კურსზე მიღებული შეფასებები მეტწილად შესაბამისობაშია გაუსის განაწილებასთან. ერთადერთი პირველ კურსზე შეიმჩნევა A შეფასებების მეტი წილი, მაგრამ ვფიქრობთ ეს მისაღებია კიდევ სამაგისტრო

პროგრამაზე, რადგან ამ საფეხურზე უფრო მოტივირებული სტუდენტები მოდიან, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისას გამოიყენებულია: სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასება, პრაქტიკის შეფასება და სხვ. არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვა.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი შექმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან და აკადემიურ პესონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

პირდაპირი შეფასების მეთოდით პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისას საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შეფასებისათვის გამოყენებულ სასწავლო კომპონენტში/ებში (სასწავლო კურსი/ები, პრაქტიკა) მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის მიმდინარე ეტაპზე განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების რუქის შესაბამისად. პირდაპირი შეფასების მეთოდით სწავლის შედეგის შეფასებისას შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდება რეკომენდაციების შემუშავება იმ შემთხვევაში, თუ შეფასება სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება ან/და გამოიკვეთება ძლიერი მხარეები და მოხდება მისი შენარჩუნება და იმპლემენტაცია.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს: სტუდენტის მიერ თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და შედეგების ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ არის სტუდენტის მიერ კურსის შეფასება ან კმაყოფილების კვლევის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი სწავლის პირველი შედეგის შეფასება პირდაპირი მეთოდით

სწავლის შედეგი 1 - ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის მეცნიერებების, ბიზნესის სამართლის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სტატისტიკისა და მათემატიკის ცოდნის საფუძველზე საფინანსო, სააღრიცხვო, მენეჯერული და მარკეტინგული ინფორმაციების გაანალიზება და გამოყენება ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

სწავლის შედეგი 1-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით.

გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია: ინფორმატიკის საფუძვლები, მათემატიკა ბიზნესისათვის 1 მათემატიკა ბიზნესისათვის 2, მიკროეკონომიკის პრინციპები 1, მაკროეკონომიკის

პრინციპები 2, ბიზნესის საფუძვლები, კარიერული მართვა, ბიზნესის სამართლის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ალბათობის თეორია და მათ. სტატისტიკა, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

სტრატეგიული მენეჯმენტი; მარკეტინგის მენეჯმენტი.

გაცნობაში და გაღრმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 97%. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 100 %.

სწავლის შედეგი 2-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 2 - ფინანსური, საგადასახადო და მმართველობითი აღრიცხვის სფეროებში გაანგარიშებების ჩატარება, ანგარიშგების ელემენტების იდენტიფიცირება და კომპონენტების მომზადება.

სწავლის შედეგი 2-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით.

გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია: მათემატიკა ბიზნესისათვის 1, მათემატიკა ბიზნესისათვის 2, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

ფინანსური აღრიცხვა; საგადასახადო დაბეგვრა; მმართველობითი აღრიცხვა.

გაცნობაში და გაღრმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 87 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 95 %.

სწავლის შედეგი 3-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 3 - საბანკო საქმისა და ფინანსების მართვის ძირითადი საკითხების ინტერპრეტირება, ეროვნული და კომერციული ბანკების როლის გაანალიზება და შეფასება ბიზნესის მართვის სისტემაში.

სწავლის შედეგი 3-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით.

გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსია: ფინანსების საფუძვლები განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

საბანკო საქმის საფუძვლები; ფინანსური მენეჯმენტი; გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსის მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 93 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 89 %.

სწავლის შედეგი 4-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 4 საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

4.1 ფასს-ის და აუდიტის სტანდარტების გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, აგრეთვე საფინანსო - საკრედიტო და საბიუჯეტო დაწესებულებებში აღრიცხვა-ანგარიშგების შედგენა და ინფორმაციების ანალიზი პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დაცვით. მენეჯმენტის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

4.2 ორგანიზაციული ქცევის, ლიდერობისა და პროექტების მართვის წესებისა და პროცედურების შეფასება, საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის ძირითადი თეორიულ-გამოყენებითი პრინციპებისა და მეთოდების ჩამოყალიბება პროფესიული ღირებულებების დაცვით..

ფინანსების მოდულის არჩევის შემთხვევაში:

4.3 საჯარო ფინანსების, სადაზღვევო სისტემის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფორმაციების ანალიზი, შედეგების შეჯამება და ინტერპრეტირება ზნეობრივი და ეთიკური პროფესიული ღირებულებების დაცვით.

სწავლის შედეგი 4-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით. ეს სასწავლო კურსებია:

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის არჩევის შემთხვევაში განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია: (ფასს) გამოყენება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; აუდიტის საფუძვლები; აღრიცხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში; აღრიცხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში; პრაქტიკა; განმტკიცების მიღწევაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსის მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 90 %.

მენეჯმენტის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსია: ლიდერობა და ორგანიზაციული ქცევა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

რისკ-მენეჯმენტის საფუძვლები, საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი, პროექტის მართვა; პრაქტიკა; საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსის მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 100 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებშიც - 100 %.

ფინანსების მოდულის არჩევის შემთხვევაში:

გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია: დაზღვევის საფუძვლები, საჯარო ფინანსები განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

ფინანსური ანალიზი; ფასიანი ქაღალდების ბაზარი; პრაქტიკა; საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი. გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 100 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 89 %.

სწავლის შედეგი 5-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 5 - ამზადებს და წარადგენს ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემებზე წერილობით ანგარიშს და ახდენს მათი გადაჭრის გზების დემონსტრირებას შესაბამისი დასაბუთებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მშობლიურ და უცხოურ ენაზე; სწავლის შედეგი 5-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით.

გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსია: უცხოური ენა 1, უცხოური ენა 2, უცხოური ენა 3, უცხოური ენა 4, აკადემიური წერა, ინფორმატიკის საფუძვლები განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია: პრაქტიკა; საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი.

გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 96 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 97 %.

სწავლის შედეგი 6-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 6 - აფასებს შეძენილი ცოდნის ბაზაზე საკუთარ შესაძლებლობებს და ახდენს ავტონომიურობის დემონსტრირებას, მომავალი სწავლის საჭიროებების განსაზღვრას საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი მოდულებიდან და იღებს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგი 6-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით.

გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსია: ფილოსოფიის შესავალი განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია: პრაქტიკა; საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი.

გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსის მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 100 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 97 %.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი

2023 წელს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ჰყავს 20 კურსდამთავრებული. მათი ჩარიცხვა პროგრამაზე მოხდა 2019-20 სასწავლო წელს, ჩარიცხა 18 სტუდენტი, მეორე კურსზე მობილობით გადმოვიდა ერთი სტუდენტი, ამავე კურსზე ერთ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, ხოლო მესამე კურსზე მოხდა ორი სტუდენტის აღდგენა სტუდენტის უფლებებში. შესაბამისად სულ სწავლების ოთხი კურსი დაასრულა 20 სტუდენტმა. მათგან სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს კურსდამთავრებულთა და შესაბამისი დამსაქმებლების გამოკითხვას პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მომზადებულია კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილ იქნა პროგრამის სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა მოგვაწოდეს თავიანთი მოსაზრება რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა სწავლის თითოეულ შედეგს. თავისი მოსაზრება დააფიქსირა 12 კურსდამთავრებულმა:

სწავლის შედეგი №	პროგრამის სწავლის შედეგები	მიღწეულია	მეტწილად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია
1.	ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის მეცნიერებების, ბიზნესის სამართლის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სტატისტიკისა და მათემატიკის ცოდნის საფუძველზე საფინანსო, სააღრიცხვო, მენეჯერული და მარკეტინგული ინფორმაციების გაანალიზება და გამოყენება ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.	8(67%)	4(33%)	
2.	ფინანსური, საგადასახადო და მმართველობითი აღრიცხვის სფეროებში გაანგარიშებების ჩატარება, ანგარიშების ელემენტების იდენტიფიცირება და კომპონენტების მომზადება.	9 (83%)	2 (17%)	

3.	საბანკო საქმისა და ფინანსების მართვის ძირითადი საკითხების ინტერპრეტირება, ეროვნული და კომერციული ბანკების როლის გაანალიზება და შეფასება ბიზნესის მართვის სისტემაში.	11 (92%)	1 (8%)		
4.1.	ფასს-ის და აუდიტის სტანდარტების გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, აგრეთვე საფინანსო - საკრედიტო და საბიუჯეტო დაწესებულებებში აღრიცხვა-ანგარიშგების შედგენა და ინფორმაციების ანალიზი	9 (83%)	2 (17%)		
	პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დაცვით.				
4.3.	საჯარო ფინანსების, სადაზღვევო სისტემის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფორმაციების ანალიზი, შედეგების შეჯამება და ინტერპრეტირება ზნეობრივი და ეთიკური პროფესიული ღირებულებების დაცვით.	10 (90%)	1 (10%)		
5.	ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, წარდგენა და მათი გადაჭრის გზების დემონსტრირება შესაბამისი დასაბუთებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მშობლიურ და უცხოურ ენაზე;	7(58%)	5(42%)		
6.	შეძენილი ცოდნის ბაზაზე საკუთარი შესაძლებლობების შეფასება და ავტონომიურობის დემონსტრირება, მომავალი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კონცენტრაციებიდან და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.	8(67%)	4(33%)		

ასეთივე კითხვარი გაეგზავნა დამსაქმებლებს. პასუხი დააფიქსირა 4 ორგანიზაციამ. შედეგები ასეთია:

სწავლის დასრულების შემდეგ შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი: 20 კურსდამთავრებულიდან 75% დასაქმებულია, მათ შორის სპეციალობით - 60%, ასევე სავალდებულო სამხედრო სამსახურშია 10 %, მცირეწლოვან შვილს ზრდის - 10%. რაც შეეხება შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას - 2 კურსდამთავრებული (10 %) აგრძელებს სწავლას ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გვამღევს საფუძველს აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგები მიღწეულია.

სწავლის შედეგი №	პროგრამის სწავლის შედეგები	მიღწეულია	მეტწილად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია
1.	ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის მეცნიერებების, ბიზნესის სამართლის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სტატისტიკისა და მათემატიკის ცოდნის საფუძველზე საფინანსო, სააღრიცხვო, მენეჯერული და მარკეტინგული ინფორმაციების გაანალიზება და გამოყენება ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.	3 (75%)	1(25%)	
2.	ფინანსური, საგადასახადო და მმართველობითი აღრიცხვის სფეროებში გაანგარიშებების ჩატარება, ანგარიშგების ელემენტების იდენტიფიცირება და კომპონენტების მომზადება.	3 (75%)	1(25%)	
3.	საბანკო საქმისა და ფინანსების მართვის ძირითადი საკითხების ინტერპრეტირება, ეროვნული და კომერციული ბანკების როლის	4 (100%)		

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სწავლის შედეგების

	გაანალიზება და შეფასება ბიზნესის მართვის სისტემაში.				
4.1.	ფასს-ის და აუდიტის სტანდარტების გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, აგრეთვე საფინანსო - საკრედიტო და საბიუჯეტო დაწესებულებებში აღრიცხვა-ანგარიშგების შედგენა და ინფორმაციების ანალიზი პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დაცვით.	2 (50%)	1(25%)	1(25%)	
4.3.	საჯარო ფინანსების, სადაზღვევო სისტემის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფორმაციების ანალიზი, შედეგების შეჯამება და ინტერპრეტირება ზნეობრივი და ეთიკური პროფესიული ღირებულებების დაცვით.	3 (75%)	1(25%)		
5.	ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, წარდგენა და მათი გადაჭრის გზების დემონსტრირება შესაბამისი დასაბუთებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მშობლიურ და უცხოურ ენაზე;	2 (50%)	1(25%)	1(25%)	
6.	შემქნილი ცოდნის ბაზაზე საკუთარი შესაძლებლობების შეფასება და ავტონომიურობის დემონსტრირება, მომავალი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კონცენტრაციებიდან და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.	2 (50%)	2(50%)		

შეფასების პირდაპირი მეთოდი სწავლის პირველი შედეგის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 1 - ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პრობლემების იდენტიფიცირებას, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესწავლას, დაგეგმვას, ანალიზს, კვლევას და შედეგების სწორ დიაგნოსტიკას. აცნობიერებს პოლიტიკის დაგეგმვის პრინციპებს და პროფესიულ როლს; სწავლის შედეგი 1-ის პირდაპირი შეფასება განხორციელდა მეოთხე სემესტრის ბოლოს.

სწავლის შედეგი 1-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგადმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით. გაცნობა, გადმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები საკორპორაციო სამართალი ოპერაციათა მენეჯმენტი სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში სტრატეგიული მარკეტინგი სტრატეგიული ბრენდ-

მენეჯმენტი ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

ბიზნესის კვლევის მეთოდები ფინანსური მართვა სამაგისტრო ნაშრომი გაცნობაში და გაღრმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 87%. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 100 %.

სწავლის შედეგი 2-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 2 - გეგმავს ოპერაციებს და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას ცალკეული ეკონომიკური მოდელების გამოყენებით მარკეტინგის, მენეჯმენტის და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის; ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვის და მართვის; ბიზნეს საქმიანობის დაწყების პროცესში; სწავლის შედეგი 2-ის პირდაპირი შეფასება განხორციელდა მესამე სემესტრის ბოლოს.

სწავლის შედეგი 2-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით. გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

საკორპორაციო სამართალი ფინანსური აღრიცხვა 2 სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში სტრატეგიული მარკეტინგი სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

მენეჯერული ეკონომიკა ოპერაციათა მენეჯმენტი გაცნობაში და გაღრმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 89 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 75%.

სწავლის შედეგი 3-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 3 აუდიტის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

3.1 ამზადებს აუდიტის სფეროში ბასს-ის, ფასს-ის, ასს-ის, ბიზნესის შეფასების ძირითადი დებულებებისა და პრინციპების ინტერპრეტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების რეკომენდაციებსა და დასკვნებს; აგრობიზნესის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

3.2 მოიძიებს ინფორმაციას აგრობიზნესის სფეროში, მ.შ. შესაბამის ქვედარგებში, ზომავს აგრორესურსებს და ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, მსჯელობს, აანალიზებს და პროგნოზირებს, მართავს და გეგმავს ბიზნესს, სთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს, ახდენს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიული ხედვის ფორმულირებას. უძრავი ქონების ადმინისტრირების მოდულის არჩევის შემთხვევაში:

3.3 იყენებს და უკავშირებს ერთმანეთს ადმინისტრაციული მართვის, რეგისტრაციისა და რეგულირების ძირითადი დებულებებსა და ინსტრუქციებს უძრავი ქონების ადმინისტრირების სფეროში; ახდენს უძრავი ქონების საკადასტრო აღრიცხვასა და შეფასებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაწყვეტას; სწავლის შედეგი 3-ის პირდაპირი შეფასება ყველა მოდულისათვის განხორციელდა მეოთხე სემესტრის ბოლოს.

სწავლის შედეგი 3-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით. აუდიტის მოდულის არჩევის შემთხვევაში: გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

ფინანსური ანგარიშგება ბიზნესის შეფასების პრინციპები განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სამაგისტრო პრაქტიკა სამაგისტრო ნაშრომი გაცნობაში და გაღრმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 100 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებშიც - 100 %. აგრობიზნესის მოდულის არჩევის შემთხვევაში: გაცნობა, გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

აგრარულ მეცნიერებათა ინტეგრირებული კურსი

აგრარული პოლიტიკა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

აგრობიზნესის მენეჯმენტი სამაგისტრო პრაქტიკა სამაგისტრო ნაშრომი გაცნობაში და გაღრმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 100 %. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებშიც - 100 %.

უძრავი ქონების ადმინისტრირების მოდულის არჩევის შემთხვევაში: გაცნობა, გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია: მიწისა და უძრავი ქონების მართვის თანამედროვე სისტემა 1 მიწისა და უძრავი ქონების აღრიცხვა და შეფასება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია: მიწისა და უძრავი ქონების მართვის თანამედროვე სისტემა 2 სამაგისტრო პრაქტიკა სამაგისტრო ნაშრომი გაცნობაში და გაღრმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 100%. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებშიც - 100%.

სწავლის შედეგი 4-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 4 - მსჯელობს ლოგიკურად და გამოაქვს კვალიფიციური დასკვნები ბიზნესის ზოგადი და არჩევითი მოდულების საგნების გავლის, სამაგისტრო პრაქტიკისა და ნაშრომის მომზადების შემდეგ; სწავლის შედეგი 4-ის პირდაპირი შეფასება განხორციელდა მეოთხე სემესტრის ბოლოს.

სწავლის შედეგი 4-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღრმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით. გაცნობა, გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა ფინანსური ანგარიშგება ბიზნესის შეფასების პრინციპები აგრარულ მეცნიერებათა ინტეგრირებული კურსი აგრარული პოლიტიკა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია ფინანსური აღრიცხვა 2 ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

აგრობიზნესის მენეჯმენტი ბიზნესის კვლევის მეთოდები სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში სტრატეგიული მარკეტინგი ფინანსური მართვა სამაგისტრო პრაქტიკა სამაგისტრო ნაშრომი გაცნობაში და გაღრმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 96%. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებშიც - 96%. სწავლის შედეგი 5-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 5 - ახორციელებს კვლევის შედეგების საფუძველზე დამოუკიდებელ კომუნიკაციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე; სწავლის შედეგი 5-ის პირდაპირი შეფასება განხორციელდა მეორე სემესტრის ბოლოს.

სწავლის შედეგი 5-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით.

განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია ბიზნეს-ინგლისური ბიზნესის კვლევის მეთოდები განმტკიცების მიღწევაში მონაწილე ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით,

სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 85%. სწავლის შედეგი 6-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 6 - ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, შესაბამისი მიმართულებით მასალის დამოუკიდებლად მოძიებას და გამოყენებას; სწავლის შედეგი 6-ის პირდაპირი შეფასება განხორციელდა მეოთხე სემესტრის ბოლოს.

სწავლის შედეგი 6-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით. გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსია:

სამაგისტრო პრაქტიკა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

ფინანსური მართვა სამაგისტრო ნაშრომი გაცნობა-გაღმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსის მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 100%. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებშიც - 100%.

სწავლის შედეგი 7-ის შეფასება პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგი 7 - აფასებს ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ღირებულებებს, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში, იცავს პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნებსა და ზნეობრივ პრინციპებს. სწავლის შედეგი 1-ის პირდაპირი შეფასება განხორციელდა მეოთხე სემესტრის ბოლოს.

სწავლის შედეგი 7-ის პირდაპირი შეფასებისათვის სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდა გაცნობაგაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი კი განისაზღვრა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით. გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები სამაგისტრო პრაქტიკა განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებია:

ფინანსური მართვა სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აგრობიზნესის მენეჯმენტი მიწისა და უძრავი ქონების მართვის თანამედროვე სისტემა 2 სამაგისტრო ნაშრომი გაცნობაში და გაღმავებაში მონაწილე, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაფიქსირდა 81%. განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსებში კი - 97 %.

სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება

2023 წელს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ჰყავს 7 კურსდამთავრებული. მათი ჩარიცხვა პროგრამაზე მოხდა 2021-22 სასწავლო წელს, ჩარიცხა 10 სტუდენტი, მეორე სემესტრში სტატუსი შეუჩერდა 3 სტუდენტს სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. შესაბამისად სულ სწავლების ორი კურსი დაასრულა 7 სტუდენტმა. მათგან სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს კურსდამთავრებულთა და შესაბამისი დამსაქმებლების გამოკითხვას პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მომზადებულია კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილ იქნა პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა მოგვაწოდეს თავიანთ მოსაზრება რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა სწავლის თითოეულ შედეგს.

თავისი მოსაზრება დააფიქსირა ყველა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა, ასევე 4 ორგანიზაციამ (სს კრედიო ბანკის ახალციხის ფილიალი, სს ლიბერთი ბანკის კარწახის ფილიალი (ა(ა)იპ ახალციხის ციხე, შპს „წაღვერი“)

სწავლის შედეგი №	პროგრამის სწავლის შედეგები	მიღწეულია (%)			მეტწილად მიღწეულია (%)			ნაწილობრივ მიღწეულია (%)		
		სტუდ	კურსდამთ	დამსაქმ	სტუდ	კურსდამთ	დამსაქმ	სტუდ	კურსდამთ	დამსაქმ
1.	ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პრობლემების იდენტიფიცირებას, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესწავლას, დაგეგმვას, ანალიზს, კვლევას და შედეგების სწორ დიაგნოსტიკას. აცნობიერებს პოლიტიკის დაგეგმვის პრინციპებს და პროფესიულ როლს;	100	100	86			14			
2.	გეგმავს ოპერაციებს და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას ცალკეული ეკონომიკური მოდელების გამოყენებით მარკეტინგის, მენეჯმენტის და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის; ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვის და მართვის; ბიზნეს საქმიანობის დაწყების პროცესში;	86	100	100	14		100			
3.1	ამზადებს აუდიტის სფეროში ბასს-ის, ფასს-ის, ასს-ის, ბიზნესის შეფასების ძირითადი დებულებებისა და პრინციპების ინტერპრეტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების რეკომენდაციებსა და დასკვნებს;	43	43	43						
3.2.	მოიძიებს ინფორმაციას აგრობიზნესის სფეროში, მ.შ. შესაბამის ქვედარგებში, ზომავს აგრორესურსებს და ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, მსჯელობს, აანალიზებს და პროგნოზირებს, მართავს და გეგმავს ბიზნესს, სთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს, ახდენს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიული ხედვის ფორმულირებას.	14	14	14						

3.3.	იყენებს და უკავშირებს ერთმანეთს ადმინისტრაციული მართვის, რეგისტრაციისა და რეგულირების ძირითადი დებულებებსა და ინსტრუქციებს უძრავი ქონების ადმინისტრირების სფეროში; ახდენს უძრავი ქონების საკადასტრო აღრიცხვასა და შეფასებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაწყვეტას;	43	43	43						
4.	მსჯელობს ლოგიკურად და გამოაქვს კვალიფიციური დასკვნები ბიზნესის ზოგადი და არჩევითი მოდულების საგნების გავლის, სამაგისტრო პრაქტიკისა და ნაშრომის მომზადების შემდეგ;	100	86	86		14	14			
5.	ახორციელებს კვლევის შედეგების საფუძველზე დამოუკიდებელ კომუნიკაციას აკადემიურ და	100	86	100		14				
	პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე;									
6.	ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, შესაბამისი მიმართულებით მასალის დამოუკიდებლად მოძიებას და გამოყენებას;	71	57	86	29	43	14			
7.	აფასებს ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ღირებულებებს, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში, იცავს პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნებსა და ზნეობრივ პრინციპებს.	86	71		14	57				

აღსანიშნავია, რომ ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია, ამიტომ როგორც კურსდამთავრებულები ისე ყველა დამსაქმებელი აღნიშნავს, რომ სწავლის ყველა შედეგი მიღწეულია, რაც ძალიან კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მხრიდანაც სისტემატიურად ხდებოდა დაკვირვება სალექციო პროცესზე, ასევე სტუდენტთა სასწავლო პროცესზე, ყოველსემესტრულად ხორციელდებოდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა.

ვინაიდან სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტი შეზღუდულია, ძირითადად მოდიან სტუდენტები, რომელთაც აქვთ მაღალი მოტივაცია და ამავე დროს დასაქმებულნი არიან, კმაყოფილებაც მაღალია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამაგისტრო პროგრამის ყველა სემესტრის კურსების შედეგების შეფასების ანალიზისა და არაპირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგები მიღწეულია.

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სწავლის შედეგი 1.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სწავლის შედეგი:

აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური დებულებების, თეორიების, კონცეფციების, პრინციპების, მონაცემთა ცნობილი სტრუქტურების, მათემატიკური აპარატის, თანამედროვე დაპროგრამების ენების, ვებ-ტექნოლოგიების, მონაცემთა ბაზების, ქსელების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების ცოდნა;

„ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სწავლის შედეგი, ცოდნა და გაცნობიერება, ანუ თეორიული ცოდნა შემოწმდება პირველი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით.

პირველი სწავლის შედეგის მიღწევაში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გაცნობის დონეს განსაზღვრავს შემდეგი სასწავლო კურსები: კომპ.უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები, კალკულუსი, კომპიუტერის არქიტექტურა, დაპროგრამების საფუძვლები, ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები 1.

მიმდინარე სემესტრში პირველი სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად, გაცნობაში მონაწილე სასწავლო კურსების: კომპ.უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები, კალკულუსი, კომპიუტერის არქიტექტურა, ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები 1. მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაუფიქსირდა სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 100%-ს.

პირველი სწავლის შედეგის მიღწევაში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გაღრმავების დონეზე მონაწილეობს შემდეგი სასწავლო კურსები: ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები 2, ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება I (C++), დაპროგრამების საფუძვლები JAVA ენაზე, დაპროგრამების ენა Python, შესავალი MATLAB დაპროგრამებაში, ალბათობის თეორია, მონაცემთა ბაზები I, კომპიუტერული ქსელები I, ოპერაციული სისტემები, კომპიუტერული გრაფიკა I, ვებ- ტექნოლოგიები I, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში, მათემატიკური დაპროგრამება.

მიმდინარე სემესტრში პირველი სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად, ცოდნის გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსების: ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება I (C++), დაპროგრამების ენა Python, კომპიუტერული ქსელები I, ოპერაციული სისტემები, , ვებ- ტექნოლოგიები I, მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაუფიქსირდა სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 83%-100%-ს პირველი სწავლის შედეგის მიღწევაში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან განმტკიცების დონეზე მონაწილეობს სასწავლო კურსები: ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება II (C++), ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება III (C#), მათემატიკური სტატისტიკა, წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია, მონაცემთა ბაზები II, კომპიუტერული ქსელები II, კომპიუტერული გრაფიკა II, ვებ- ტექნოლოგიები II, საბაკალავრო პროექტი მიმდინარე სემესტრში პირველი სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად, ცოდნის განმტკიცებაში მონაწილე სასწავლო კურსების: ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება III (C#), მათემატიკური სტატისტიკა, მონაცემთა ბაზები II, კომპიუტერული გრაფიკა II, მიხედვით, სტუდენტების შეფასებების სტატისტიკური მონაცემების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო

კურსებში დადებითი შეფასებები E კატეგორიიდან A კატეგორიამდე დაუფიქსირდა დაუფიქსირდა სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 95%-100%-ს.

სწავლის შედეგი 2.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სწავლის შედეგი:

